



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების აკრედიტაციის
ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 08

10 02 2010 წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების აკრედიტაციის
ეროვნული ცენტრის ელექტრონული პორტალის წარმოების წესის
დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 27 მარტის №222 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის ელექტრონული პორტალის წარმოების წესი დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის კანცელარიასა და საინფორმაციო და მობილობის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯაროდ განთავსება განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის შენობაში და ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.nea.ge.
3. კონტროლი წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ცენტრის დირექტორის მოადგილეს, ნ. ჭილაძეს.

დირექტორი



დავით კერესელიძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის
ელექტრონული პორტალის წარმოების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის ელექტრონული პორტალი (შემდგომში - პორტალი) აერთიანებს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, პროფესორ-მასწავლებლების და სტუდენტების რეესტრში (შემდგომში - რეესტრი) ასახულ და მობილობის პროცესის მონაწილეთა მიერ რეგისტრირებულ მონაცემებს.
2. პორტალი უზრუნველყოფს მობილობის პროცესის ყველა მონაწილისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას, მობილობის პროცესის გამჭვირვალედ ჩატარებასა და სტუდენტის მიერ მობილობის განხორციელების ხელშეწყობას.
3. პორტალზე აისახება:
 - ა) მობილობის პროცესში მონაწილე აკრედიტებული და ახალდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (შემდგომში - დაწესებულება) მიერ მობილობის წესით სტუდენტების მისაღებად რეგისტრირებული ადგილები, უმაღლესი განათლების საფეხურებისა და ფაკულტეტების ან საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით;
 - ბ) მობილობის უფლების მქონე პირების ელექტრონული განაცხადები და პრიორიტეტები;
 - გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფაკულტეტებზე ან პროგრამებზე რეგისტრირებულ პირთა სია.
4. პორტალის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი).

მუხლი 2. დაწესებულების მიერ პორტალზე შესატანი ინფორმაცია

1. დაწესებულების მონაცემების პორტალის სათანადო ველებში შეტანას უზრუნველყოფს შესაბამისი დაწესებულება. პორტალით სარგებლობისას დაწესებულება იყენებს ცენტრის მიერ მინიჭებულ მომხმარებლის ინდივიდუალურ სახელსა და პაროლს.
2. ცენტრის მიერ დადგენილ ვადებში პორტალზე რეგისტრირდება:
 - ა) შესაბამის სემესტრში მობილობის საფუძველზე მისაღებ სტუდენტთა ადგილების საერთო რაოდენობა და მისი განაწილება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად;
 - ბ) ფაკულტეტების ჩამონათვალი იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება ახორციელებს სტუდენტების მიღებას ფაკულტეტებზე, ან საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება სტუდენტების მიღებას ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად.
 - გ) დაწესებულება უფლებამოსილია დაარეგისტროს მისაღები კონტინგენტის შეზღუდვა ფაკულტეტების ან პროგრამების, მობილობის მსურველის კრედიტების მაქსიმალური ან მინიმალური ოდენობის, ან/და სხვა ნიშნის მიხედვით, ასევე განსაზღვროს რეგისტრირებული ადგილების რაოდენობის გადაჭარბების შემთხვევაში სხვადასხვა ფაკულტეტზე ან პროგრამაზე მობილობის მსურველთა განაწილების წესი.
3. მობილობის ვაკანტური ადგილების პორტალზე რეგისტრაციის ვადის დასრულების შემდეგ რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანა დაუშვებელია.

მუხლი 3. მობილობის მსურველის პორტალზე რეგისტრაცია

1. მობილობის მსურველი ელექტრონულ პორტალზე რეგისტრირდება პირადობის მოწმობის თერთმეტნიშნა საიდენტიფიკაციო ნომრის (პირადი ნომერი) მეშვეობით და, სურვილის

შემთხვევაში, განსაზღვრავს პრიორიტეტებს იმ ფაკულტეტების ან პროგრამების მიხედვით, რომლებზეც სურს ჩაირიცხოს მობილობის წესით.

2. სტუდენტის პირადი მონაცემები პორტალზე შეიტანება ავტომატურად, რეესტრში არსებული მონაცემების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ელექტრონული რეგისტრაციის მომენტისათვის ირიცხება ერთდროულად ორ ან მეტ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე, პორტალის შესაბამისი შეტყობინების შემდეგ ვალდებულია მიუთითოს, თუ რომელი დაწესებულებიდან სურს მობილობის წესით გადასვლა.

3. პირი, რომელიც არ არის სტუდენტად რეგისტრირებული რეესტრში, ვალდებულია მიმართოს იმ დაწესებულებას, რომლის სტუდენტის სტატუსიც აქვს მოპოვებული. თუ დაწესებულება ლიკვიდირებულია უფლებამონაცვლის გარეშე, პირის რეესტრში რეგისტრაციას უზრუნველყოფს ცენტრი.

მუხლი 4. მობილობის უფლების მქონე პირთა განსაზღვრა

1. მობილობის მსურველთა განაცხადების პორტალზე რეგისტრაციის ვადის დასრულების შემდეგ დგება მობილობის უფლების მქონე პირთა სია შესაბამისი დაწესებულების ფაკულტეტების ან პროგრამების მიხედვით.

2. მობილობის უფლების მქონე პირთა სიის ფორმირებისას მოწმდება განმცხადებლის მობილობის უფლება, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის გადასვლის წესის“ შესაბამისად.

3. იმ პირთა ელექტრონული განაცხადები, რომლებსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით არ აქვთ მობილობის უფლება, პორტალზე არ რეგისტრირდება.

4. მობილობის პროცესში მონაწილე პირთა სია ქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე ფაკულტეტების/საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.

მუხლი 5. პორტალზე რეგისტრირებული მონაცემების კონტროლი

ცენტრი უფლებამოსილია განახორციელოს პორტალზე რეგისტრირებული მონაცემების გადამოწმება. პორტალის მონაცემებში უზუსტობის გამოვლენის შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია მოსთხოვოს დაწესებულებას შესაბამისი მონაცემების შესწორება, ან მიმართოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა ზომებს.